



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

გეოლოგია, მაგისტრატურა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 26, 27, 28 აპრილი 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11 ივნისი, 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გეოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	გეოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 0532
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით	აკრედიტებული (07/11/2012 N190)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ფოფორაძე, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ავთანდილ ოქროსცვარიძე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 19 მარტის ბრძანების №258032 შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, 26 და 27 აპრილს განახორციელა ონლაინ ვიზიტი კითხვა-პასუხის რეჟიმში დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ხოლო 28 აპრილს ვიზიტი ადგილზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა გეოლოგიის სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი “გეოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მასალები, ანგარიშები, დაათვალიერა მატერიალურ ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკა.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოლოგიის სამაგისტრო ხორციელდება 2007 წლიდან. უკანასკნელად საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2012 წელს. სწავლების ფორმა - დასწრებული სწავლება. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 120 ECTS კრედიტი. პროგრამის 120 ECTS კრედიტიდან 95 კრედიტი არის სავალდებულო, სადაც 30 კრედიტი არის სამაგისტრო ნაშრომი. არჩევითი კურსებისთვის გამოყოფილია 25 კრედიტი. უკანასკნელი აკრედიტაციის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები.

2012 წლიდან დღემდე განხორციელებული ცვლილებები:

- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში შეტანილი იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის პირველი სექტემბრიდან, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, აგრეთვე სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა მოყვანილ იქნა შესაბამისობაში ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან;
- შეიცვალა პროგრამისა და სილაბუსების სწავლის შედეგები კვალიფიკაციების განახლებულ ეროვნულ ჩარჩოსთან (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით) თავსებადობის მიზნით;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, სავალდებულო და არჩევით სასწავლო კომპონენტს დაემატა სასწავლო კურსები: საქართველოს გეოლოგია (5 კრედიტი) და გარემოსდაცვითი შეფასება და გადაწყვეტილებები (5 კრედიტი), მინერალთა თერმოდინამიკა (5 კრედიტი) და კავკასიის ნეოგენისა და ანთროპოგენის პალეონტოლოგია (5 კრედიტი);
- გაუქმდა შემდეგი სასწავლო კურსები: ევოლუციური პალეონტოლოგია; მიწის ქერქის რეგიონული სტრუქტურული ანალიზი, ბიოსტრატეგრაფიული კვლევის სპეცეციალური მეთოდები, მოძღვრება ფაციესებსა და ფორმაციებზე, მაგმური ქანების ფიზიკურ-ქიმიური პეტროლოგია, ქანების დათარიღების იზოტოპური მეთოდები.
- შემუშავდა სილაბუსი სამაგისტრო ნაშრომისათვის;
- პერმანენტულად ხორციელდება სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის განახლება.

სამაგისტრო პროგრამას ემსახურება 17 ლექტორი, მათ შორის 7 თსუ-სთან აფილირებული პროფესორი და 10 მოწვეული. საუბარია ძირითადი ბლოკის საგნებზე მხოლოდ.

ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია 10 სტუდენტის მიღება.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ყველა საჭირო ინფორმაცია პროგრამის შესახებ. აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა ონლაინ ZOOM-ის პლათფორმის გამოყენებით 2021 წლის 26 და 27 აპრილს, ხოლო 28 აპრილს ვიზიტი ადგილზე განხორციელდა დაწესებულებაში.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

გეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მთლიანობაში შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან, სტრატეგიულ გეგმასა და მისიასთან. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ისწრაფვის, უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. უნივერსიტეტი ასევე მიზნად ისახავს თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში.

უნივერსიტეტისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმებიდან გამომდინარე პროგრამა ორიენტირებულია დარგის განვითარებაზე, რაც მიღწევადაა ძირითადი სასწავლო კურსების ათვისებით და კურიკულუმის გარეშე აქტივობებით:

- უნივერსიტეტის, ქვეყნისა და მის გარეთ თანამშრომელთა მიერ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა.
- გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან და საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან აქტიური პროფესიული თანამშრომლობა;
- სტუდენტთა შემეცნებითი და დასაქმებაზე ორიენტირებულ საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობა და სხვა.

თუმცა აქვე დავძენთ, რომ ჩვენი რჩევაა, რომ მოხდეს სტუდენტთა და პროფესორთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში აქტიურად ჩართვა, რაც აღნიშნული არის კიდევაც თვითშეფასების ანგარიშში, როგორც გასაუმჯობესებელი მხარე.

როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ონლაინ ვიზიტისას მოგროვებული ინფორმაცია გვიჩვენებს, გეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების დასაქმებას სამეცნიერო დაწესებულებებში, გარემოს ეროვნულ სააგენტოში, სამთო-გეოლოგიურ კომპანიებში და სხვა მომიჯნავე სფეროებში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „გეოლოგია“ მუშაობის დროს გათვალისწინებული იყო დარგის მიმართ შრომის ბაზრის მიერ წაყენებული მოთხოვნები, ასევე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

გამოყენებული მეთოდები, კრედიტების მოცულობა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები შესაბამისობაშია თითოეული სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. პროგრამის სასწავლო კომპონენტების შინაარსი ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს, თუმცა რჩევის სახით დავამატებთ რომ ეს კომპონენტი კიდევ უფრო შეიძლება გაძლიერდეს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის სილაბუსებში დამხმარე მასალებად გამოყენებით.

უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ კატალოგის სერვისი. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე: პროგრამის სასწავლო კურსებისათვის საჭირო ძირითადი სახელმძღვანელოები სრულად განთავსებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდში. სასწავლო კურსებისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ- ჩვევების განვითარებას. გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გეოლოგიის დეპარტამენტის ლექტორ-თანამშრომლები და სტუდენტები მონაწილეობას ლეზულობენ სხვადასხვა ტრენინგსა და პრაქტიკულ ღონისძიებებში.

მართალია შეიმჩნევა ლაბორატორიული ბაზის ყოველწლიური შევსება, თუმცა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ჯერ კიდევ გასაუმჯობესებელია.

ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებიდან გამომდინარე პროგრამაზე შესაძლებელია 10 სტუდენტის მიღება.

▪ რეკომენდაციები

- პროგრამებში არსებული სასწავლო კურსების ყველა სილაბუსში გაიწეროს სასწავლო კურსის შინაარსი;

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ხარისხის მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტების მიერ ელექტრონული კითხვარების მეშვეობით სასწავლო კურსებისა და პედაგოგების შეფასება (სასურველია პროგრამის სტუდენტებისათვის სავალდებულო გახდეს შესაფასებლად წარდგენილი თითოეული სასწავლო კურსისა და ლექტორის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარის შევსება);
- სასურველია, დასკვნით (საბოლოო) გამოცდაზე დაშვების წინაპირობის მინიმალური 11 ქულის გადახედვა და მისი გაზრდა;
- სასურველია, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ხშირად ჩატარდეს ტრენინგები და ასევე გაიზარდოს მათი ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.
- სასურველია, მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში (ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში). ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო ჩართულობის მეტად გაზრდა კონფერენციებში მონაწილეობისთვის;
- სასურველია, ლაბორატორიული ბაზის მეტად გაუმჯობესება, შესაძლებელია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლაბორატორიის ფარგლებში;
- სასურველია პროგრამების განხორციელებაში დამსაქმებლების მეტი ჩართულობა და მათთან კონტაქტების გაუმჯობესება;
- სილაბუსებში აქტიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალა. ეს ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან თსუ-ში და ამავე დროს, უზიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და

გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოლოგიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არ არსებობს უახლესი საერთაშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. შიდა საუნივერსიტეტო პროექტები (მაგალითად - მდ. ნენსკრას ხეობის ოქროს გამადნებების თავისებურებანი. ხელმძღვანელი მაგისტრანტი მაქაძე დავითი/ბრძანება №:284/02-01, 29.10.2018);
2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი პროფესიული დონე და დიდი გამოცდილება;
3. სასწავლო და სამეცნიერო მუზეუმები, პრაქტიკის ბაზა კაზრეთში, კარგად აღჭურვილი აუდიტორიები.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

გეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით გეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, შეესაბამება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, აქვს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი მიზნები, რომელიც ასახავს, თუ რა ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. კერძოდ:

- მისცეს სტუდენტს გეოლოგიის დარგში თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი საფუძვლიანი ღრმა სისტემური ცოდნა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, შრომის ბაზრის შესაბამისი სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- გამოუმუშაოს სტუდენტს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის, დარგში არსებული პრობლემების შეფასების, კრიტიკული ანალიზის, დასკვნის ჩამოყალიბებისა და მათი გადაწყვეტის ორგინალური გზების მოძიების უნარი.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პერიოდში გაზიარებული იყო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, რომლის ქმედითი მონაწილეობით პროგრამამ გაიარა ცალკეული ცვლილებები და მისი განხილვა შემდეგ ეტაპზე განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებულ სხვადასხვა პირთა წინაშე, რომელთა სამუშაო ფორმატი განისაზღვრა პროგრამის განვითარებისა და ხელშეწყობის კომიტეტის ფარგლებში და ფუნქციების შესაბამისად. აკრედიტირების შემდეგ პროგრამა გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიან კურსდამთავრებულს შესწევს უნარი თავისი წვლილი შეიტანოს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალისა მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა და პროგრამის სილაბუსები (დანართი 1);
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება;
- უნივერსიტეტის მისია (https://www.tsu.ge/ge/about/mission_statement/);
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024) https://www.tsu.ge/data/file_db/PR/20182024_93990.pdf;

<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის დარგობრივ კომიტეტზე საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის სხდომის ოქმები (დანართი 13); • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი (დანართი 8)
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აღწერა და შეფასება</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის დასახულ მიზნებს. იგი მოიცავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს</p>

პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია არსებული რეგულაციების შესაბამისად. გეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შედეგებია:

ა) ცოდნა და გაცნობიერება

1.1. აწვდომს გეოლოგიის დარგის დისციპლინებში მიღებული ღრმა სისტემური ცოდნისა და უნარ-ჩვევების როლს პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის წარმართვასა და ახალი ორგინალური იდეების განვითარებაში.

ბ) უნარები

2.1. იყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გეოლოგიის პრინციპებს დარგში არსებული პრობლემებისა და სამეცნიერო-კვლევითი ამოცანების გადაწყვეტისას; 2.2. შეიმუშავებს გეოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზებს - ახალი ორგინალური გეოლოგიური მონაცემების, თანამედროვე სამეცნიერო მეთოდოლოგიების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენებით;

2.3. დამოუკიდებლად გეგმავს და ატარებს სამეცნიერო-კვლევებს, რომელიც მოიცავს გეოლოგიის ფუნდამენტურ და გამოყენებით ასპექტებს, პროექტებისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ჩათვლით;

2.4. აკავშირებს ქანებისა და მინერალების ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებს მინერალწარმომქმნელ თერმოდინამიკურ პროცესებთან და მათი ფორმირების გეოლოგიურ გარემოსთან;

2.5. ახდენს საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის შედეგების ლოგიკურად და კრიტიკულად პრეზენტირებას როგორც აკადემიურ ისე ფართო საზოგადოების წინაშე პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

3.1. გეგმავს აქტივობებს პროფესიული განვითარებისთვის.

ქვემოთ ცხრილის სახით მოყვანილია პროგრამის მიზნების შესაბამისობა შედეგებთან

პროგრამის სწავლის შედეგები	1	2	3	4	5	6	7
პროგრამის მიზანი 1 <i>მისცეს სტუდენტს გეოლოგიის დარგში თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი საფუძვლიანი ღრმა სისტემური ცოდნა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, შრომის ბაზრის შესაბამისი სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;</i>	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
პროგრამის მიზანი 2 <i>გამოუმუშაოს სტუდენტს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის, დარგში არსებული პრობლემების შეფასების, კრიტიკული ანალიზის, დასკვნის ჩამოყალიბებისა და მათი გადაწყვეტის ორგინალური გზების მონახვის უნარი</i>	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

Активация 1

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის - აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით და შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებასა და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგებისადმი გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური (პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების (ბრძანება #69/ნ,

10.04.2019, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად). საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს ახორციელებს პროგრამის შეფასების ჯგუფი, რომელშიც ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი, პროგრამის ხელმძღვანელები, აგრეთვე პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისათვის უნდა იყოს მითითებული პროცესში გამოყენებული, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები; შესაფასებელი სტუდენტების რაოდენობა უნდა იძლეოდეს პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე ადეკვატური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების თაობაზე სრული ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია, აგრეთვე, მისი მიღწევის შეფასება არაპირდაპირი შეფასების გზით (სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა, ინტერვიუ შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან და სხვ.). პროგრამის სწავლის შედეგის შეფასება თითოეული შეფასების ინდიკატორის მიხედვით განისაზღვრება შეფასებაში ჩართული სტუდენტებიდან იმ სტუდენტების პროცენტული რაოდენობით, რომელთა შეფასება შეესაბამება ან აღემატება მოთხოვნას; შესაბამისად, თუ პროგრამის სწავლის შედეგის საბოლოო შეფასება აღემატება ნიშნულს, სწავლის შედეგი ჩაითვლება მიღწეულად. შეფასების შედეგების შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე, სწავლის შედეგების შეფასების შედეგების შედარებით სამიზნე ნიშნულებთან, უნდა განისაზღვროს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის ხარისხი. შეფასების ციკლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს იმ გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგის გაუმჯობესებას სასწავლო კურსისა და პროგრამის დონეზე. შეფასების პროცესი უზრუნველყოფს უკუკავშირს სასწავლო კურსებისა და პროგრამის უწყვეტი განვითარებისათვის.

შეფასების შედეგები უნდა იყოს გაზიარებული ფაკულტეტის ფარგლებში, რასაც თან უნდა ახლდეს დისკუსია სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების თაობაზე. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება (ბრძანება N69/ნ, 10.04. 2019 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ);
- პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (დანართი 1);
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (დანართი 4);
- დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმები (დანართი 13);
- პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია (დანართი 3);
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (დანართი 8).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება</p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების პირობაა: ბაკალავრის ხარისხი ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სხვა სპეციალობის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გეოლოგიის შესავალ კურსში აქვს 5 ECTS;</p> <ul style="list-style-type: none"> • საერთო სამაგისტრო გამოცდა; • გამოცდა გეოლოგიაში (წერითი). <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. სათანადო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ვებ-გვერდზე</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • გეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1); • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.tsu.ge.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p>

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის №153/2017 დადგენილებით *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ*) მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამა იყენებს ECTS სისტემას.

პროგრამა შემუშავებულია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტისა და საუნივერსიტეტო სწავლის ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მიერ.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყო წარდგენილი პროგრამის შესაბამისობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებთან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების შესაბამისად, რის შემდეგაც გაეგზავნა ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად, ხოლო ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული პროგრამა გადაეგზავნა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც პროგრამა დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიურსაბჭოს.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, მათ შორის:

- სავალდებულო სასწავლო საგნები - 95 კრედიტი (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი)
- არჩევითი საგნები - 25 კრედიტი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა (დანართი1)
- (ოსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილების („სსიპ –

<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“)</p> <p>https://tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2019/1002019//</p> <ul style="list-style-type: none"> • თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №76/2018 „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“). • გეოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი N1 (დანართი N13)
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სილაბუსებში აქტიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალა. ეს ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან თსუ-ში და ამავე დროს, უზიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოლოგიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არ არსებობს უახლესი საერთაშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ორიენტირებულია სტუდენტის მიერ გეოლოგიის მაგისტრისათვის აუცილებელი ცოდნის შექმნასა და სათანადო უნარების გამომუშავებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა ნათლად მიუთითებს, რომ სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, რომლებიც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების მეშვიდე დონისათვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მითითებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსის სილაბუსში და შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა განსაზღვრულია კურსის სპეციფიკისა და მისი სწავლის შედეგების გათვალისწინებით; სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსით გათვალისწინებული და შესაბამის სილაბუსში მითითებული სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებას. შეფასების სიტემა სრულ შესაბამისობაშია არსებულ რეგულაციებთან. სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა თანამედროვეა და შეესაბამება კურსის მიზნებს. სილაბუსებში პერიოდულად ხორციელდება ლიტერატურის განახლება, შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა, სწავლების მეთოდებისა და სხვა სახის ცვლილებები. სილაბუსებში სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ითვალისწინებს ინფორმაციული სისტემების აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (დანართი1);
- სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი1);
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა (დანართი4);
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

პროგრამებში არსებული სასწავლო კურსების ყველა სილაბუსში გაიწეროს სასწავლო კურსის შინაარსი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აქტიურად იქნას გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს ერთის მხრივ სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან თსუ-ში და ამავე დროს უზიდავს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოლოგიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არ არსებობს უახლესი საერთაშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ჩართულია სხვადასხვა კვლევით პროექტებში პროგრამის სწავლის შედეგებისა და სწავლების საფეხურის შესაბამისი სამეცნიერო, შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარების განვითარების უზრუნველყოფისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამა, მისი კომპონენტები უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, აგრეთვე პროგრამის

კურიკულუმის რუკაში. ამასთან ერთად, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში, მათ მონაწილეობას კათედრებთან/სამეცნიერო ცენტრებთან არსებულ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში; ამ მიზნით, ფაკულტეტზე ყოველ სემესტრში ტარდება სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ჩატარებულ სტუდენტთა უნივერსიტეტთაშორის კონფერენციებში. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებას მათთვის სტაჟირების განხორციელებით. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებულ სხვადასხვა კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის ტრადიცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი1);
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი1);
- ინფორმაცია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის თაობაზე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- სტუდენტთან და კურსდამთავრებულებთან გამოკითხვა.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში (ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში). ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო ჩართულობის მეტად გაზრდა კონფერენციებში მონაწილეობისთვის;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე მიზნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<p>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობა; კვლევის სავსე და ლაბორატორიული მეთოდები, სასწავლო და პროფესიული პრაქტიკა; ელექტრონული სწავლება /დასწრებული/; ასევე სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: ვერბალური, დემონსტრირება, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა, დისკუსია, წერითი მუშაობა, ინდუქციური და დედუქციური, ანალიზი, პრეზენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების მისაღწევად შესაძლებელია სწავლების/სწავლის სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენებაც. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგეს ინდივიდუალური განრიგი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ აისახება შესაბამის სილაბუსში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი1);
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა (დანართი 4);
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №71/2018 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რაც ასახულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭვირვალე და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ასახულია პროგრამის აღწერით ნაწილში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით. საგანმანათლებლო პროგრამით</p>

გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრე დიტის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტებისათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. შეფასების პროცესით უზრუნველყოფილია სტუდენტის ინფორმირება შეფასების შედეგების, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების თაობაზე. შეფასების წესით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. ინდივიდუალური სწავლის შედეგის მიღწევის დონეზე სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (sms.tsu.ge, lms.tsu.ge) და ელექტრონული სწავლების პორტალის (e-learning.tsu.ge) საშუალებით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91 – 100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება:

სამეცნიერო ხელმძღვანელი - 20 ქულა

რეცენზენტი - 20 ქულა

საჯარო დაცვა/დაცვის კომისიის შეფასება - 60 ქულა

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა;
- (F) ჩაიჭრა - 50 ქულა და ნაკლები

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის გაწერილი სილაბუსში. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია განთავსებულია ფაკულტეტის ვებ გვერდზე

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დასკვნით (საბოლოო) გამოცდაზე დაშვების წინაპირობის მინიმალური 11 ქულის გადახედვა და მისი გაზრდა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

როგორც ონლაინ-ვიზიტისას შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესშიც. პერიოდულად ტარდება სტუდენტების როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საფაკულტეტო და უშუალოდ პროგრამის შიდა გამოკითხვა, რომლითაც ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამა და მისი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ ტექნიკური რესურსები, ასევე ზოგად საუნივერსიტეტო სერვისის ხარისხიც. თუმცა, აღსანიშნავია რომ სტუდენტებისათვის აღნიშნულ გამოკითხვის პროცესებში მონაწილეობა და კითხვარების შევსება ნებაყოფლობით

ხასიათს ატარებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს გამოკითხულს სტუდენტთა დაბალ რიცხოვრივ მონაცემებს. სტუდენტების შეფასების პროცესში მაქსიმალურად ჩართვისა და პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია თითოეული სასწავლო კურსისა და ლექტორის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარების შევსება, რომლებიც თითოეული კურსის დასრულების შემდეგ წარედგინებათ სტუდენტებს, მიიღოს სავალდებულო ხასიათი. აღნიშნული კითხვარების სავალდებულო და ანონიმური სახით შევსება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც თითოეული სასწავლო კურსის, ასევე სტუდენტის საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროგრამის ფორმირებაში. აქვე ხაზგასასმელია სტუდენტთა აქტიური ჩართულობა უშუალოდ პროგრამის თვითშეფასების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ჯგუფში არ არის წარმოდგენილი სტუდენტი და კურსდამთავრებული, როგორც ონლაინ-ვიზიტისას გამოიკვეთა, სწავლების პროცესის განმავლობაში, ყველა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის განვითარებისა და ხელშეწყობის კომიტეტის მუშაობის პროცესში, რომლის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას სტუდენტთა რჩევების, მოსაზრებებისა და ხედვების გაზიარების საფუძველზე, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესება და დახვეწა წარმოადგენს.

აქვე ხაზგასასმელია, რომ მოცემული პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიერ დაგეგმილ სტუდენტთა ღია საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებში. სასურველია მაქსიმალურად იქნას გამოყენებული პროგრამის ხელმძღვანელობის მიერ, უნივერსიტეტის მდიდარი და უნიკალური შესაძლებლობები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რათა კიდევ უფრო მეტ სტუდენტს მიეცეს გაცვლით პროგრამებში და საგრანტო პროექტებში ჩართვის გზით საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე მიღწევების გაცნობის შესაძლებლობები.

ინტერნაციონალიზაციის პროცესებში სტუდენტთა კიდევ უფრო მეტი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით სასურველია უცხო ენის კურსს დაემატოს ასევე სპეციალიზირებული მიმართულებაც. ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს გაეცნონ დარგში მიმდინარე სიახლეებს საერთაშორისო ენაზე და ასევე სამომავლოდ კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სტუდენტთა აქტიურობას და გაზრდის მათ მოტივაციას საერთაშორისო სასწავლო და კვლევით პროექტებსა და შეხვედრებში მონაწილეობის გზით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს აქვს მხარდაჭერა სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და დასაქმებაზე სათანადო ინფორმაციის, და კონსულტაციების მიღების, აგრეთვე კარიერული განვითარებისათვის, კერძოდ:

- პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, აგრეთვე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები ატარებენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც სტუდენტებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია საუნივერსიტეტო სივრცის, სასწავლო გარემოს, საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და სასწავლო პროცესის თავისებურებების შესახებ. დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციების შესახებ;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების (მაგალითად, დაგეგმილი კონფერენციების, შიდა საუნივერსიტეტო და სხვადასხვა ფონდების მიერ დაწესებული/გამოცხადებული სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების და სხვ.) შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ფაკულტეტის დეკანატში და ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის;

ქვეყანაში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარებისა და თსუ-ში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის გამოყენებული იქნა სწავლების ონლაინ, შერეული და ჰიბრიდული მეთოდები.

სტუდენტებისთვის შეიქმნა ონლაინ სწავლისთვის გზამკვლევები და ვიდეორგოლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულება (<https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/career>).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ხარისხის მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტების მიერ ელექტრონული კითხვარების მეშვეობით სასწავლო კურსებისა და პედაგოგების შეფასება (სასურველია პროგრამის სტუდენტებისათვის სავალდებულო გახდეს შესაფასებლად წარდგენილი თითოეული სასწავლო კურსისა და ლექტორის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარის შევსება);
- სასურველია, ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა გეოლოგიის მოქმედების განმავლობაში სამაგისტრო ნაშრომების თემებს შეიმუშავებდნენ და ნაშრომის შესრულებას ხელმძღვანელობდნენ პროფ. ბეჟან თუთბერიძე, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია, ასოცირებული პროფესორი ზურაბ ლებანიძე, ასისტენტ პროფესორი კახა ქოიავა და დეპარტამენტის სხვა თანამშრომლები. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება ხდება სწავლების მეოთხე სემესტრში. მეოთხე სემესტრის დაწ-ყვამდე ტარდება ჯგუფური თუ ინდივიდუალური შეხვედრები სავარაუდო ხელმძღვანელებსა და სამაგისტრო ნაშრომის შემსრულებელ კანდიდატ მაგისტრანტებს შორის, რათა მოხდეს მათი დაინტერესება ამა თუ იმ თემით. ასევე ხდება თემის დაზუსტება ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე და მისი შესრულების სავარაუდო გეგმის შედგენა. მაგისტრანტებს აქვთ საკმაოდ ფართო და თავისუფალი არჩევანი მათი ინტერესებიდან გამომდინარე აირჩიონ სამაგისტრო ნაშრომის თემა და სამეცნიერო ხელმძღვანელი. საბოლოოდ ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს სამაგისტრო ნაშრომების თემებს.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მონიტორინგს ასრულებს გეოლოგიის დეპარტამენტი პროფესორ ბეჟან თუთბერიძის ხელმძღვანელობით. დაცვა ტარდება საფაკულტეტო სტუდენტური კონფერენციის ფარგლებში ძირითადი და დამატებითი გამოცდების შუა პერიოდში. საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი განიხილება დეპარტამენტში, რომელიც იძლევა ცალკეულ რეკომენდაციებს, იღებს გადაწყვეტილებას კვლევის დასრულების და საჯარო დაცვაზე დაშვების შესახებ.

სამაგისტრო ნაშრომს აფასებს რეცენზენტი და ხელმძღვანელი და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია. შექმნილია შეფასების კომისია, რომელიც აფასებს სამაგისტრო ნაშრომებს. დამტკიცებულია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი, რომელიც ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში პლაგიატის დეტექტორი პროგრამის გამოყენებას. სტუდენტებისათვის დამატებით ტარდება ტრენინგები აკადემიური კეთილსინდისიერების თემებზე, ასევე სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურისა და დაწერის თავისებურებებზე.

პროგრამისთვის დამახასიათებელია ოპტიმალური შეფარდება პოტენციურ ხელმძღვანელებსა და მაგისტრანტებს შორის - 7:6, რაც საშუალებას იძლევა ხელმძღვანელმა სათანადო ყურადღება დაუთმოს მაგისტრანტს. მაგისტრანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის სახელფასო სქემაში - 1 მაგისტრანტის ხელმძღვანელობა ეკვივალენტურია კვირაში 3 საკონტაქტო საათისა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები (დანართი 1);
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეოლოგია ფარგლებში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები (დანართი 7);
- სატუდენტური კონფერენციის ვებ გვერდი: <http://conference.sens-2020.tsu.ge/>;
- მაგისტრანტის ხელმძღვანელი უფლებები და მოვალეობები (დანართი 6).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
აღწერა და შეფასება**

სამაგისტრო პროგრამა „გეოლოგია“ ხორციელდება თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტში, რომლის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ჯგუფის დისტანციურად, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით გამართული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვადასტურებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეოლოგია განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალის 7 წარმომადგენელი (მათ შორის 2 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ პროფესორი), 10 მოწვეული პროფესორი. აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - კონკურსის წესით. პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, აკადემიური პერსონალის მიმართ უნივერსიტეტს წაყენებული აქვს გარკვეული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (იხ. დადგენილება №118/2014, 22 დეკემბერი, 2014, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსი ჩატარების ერთიანი წესის შესახებ):

https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1182014k. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება აგრეთვე მათ მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, ინდუსტრიული და სამეცნიერო პროექტებით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის სარეკომენდაციო მეთოდოლოგიასთან (უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ბრძანება №05-03, 07.03.2018) და არის პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატური. საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის დატვირთვის სქემა და რეალური დატვირთვა, მათი საერთო რაოდენობა და დენადობის დაბალი მაჩვენებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, პერსონალზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირებასა და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის

შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით და საერთაშორისო რეფერირებად და მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართული არის პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV (დანართი 5);
- დისტანციური გასაუბრება თსუ-ს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან;
- ყოველწლიური თვითშეფასება და სამეცნიერო ანგარიშები (დანართი 13);
- თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის დადგენილება №81/2018 – „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის დადგენილება №78/2018 – „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ხშირად ჩატარდეს ტრენინგები და ასევე გაიზარდოს მათი ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

პერსონალის შეფასება და შედეგების ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოლოგია“ ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერიოდული მონიტორინგისა და სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით. ადმინისტრაციის ორგანიზებით განხორციელდა შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, შეფასების, გაუმჯობესებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების კუთხით.

- თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N78/2018 და N81/2018 დადგენილებების შესაბამისად ყოველი წლის დასაწყისში აკადემიური სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, მასწავლებლები და დამხმარე პერსონალი ავსებს თვითშეფასების კითხვარს აკადემიური და სამეცნიერო აქტივობების შესახებ, რომლის მიზანია პერსონალმა ზუსტად აღიქვას ის მოლოდინები, რაც უნივერსიტეტს მასთან მიმართებაში გააჩნია; პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა; პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა, ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება; შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა; დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება. თვითშეფასების განხილვა შემდგომ ხდება აკადემიურ საბჭოზე;
- ფაკულტეტზე მოქმედი შიდა რეგულირებისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოთხოვნით ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ხდება დეპარტამენტის ყოველი წევრის 22 სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის წარდგენა, სადაც აღიწერება სამეცნიერო პუბლიკაციები და კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო პროექტები და სხვა სამეცნიერო აქტივობები;
- ყოველი წლის დასაწყისში ტარდება საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც ხდება თანამშრომელთა სამეცნიერო საქმიანობის წარმოდგენა. კონფერენციაში მონაწილეობა ღიაა და მასში ასევე აქტიურად მონაწილეობენ მოწვეული პედაგოგებიც. კონფერენციის პლენარული სესიის დროს ხდება დეპარტამენტების სამეცნიერო საქმიანობის წარმოდგენა და შეჯამება.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარების ხელშეწყობა;

- ფაკულტეტის ადმინისტრაცია უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტთან ერთად ხელს უწყობს თანამშრომელთა მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში (DESIRE, Erasmus+ EU), ავრცელებს ინფორმაციას მათ შესახებ, უწყევს კონსულტაციას დოკუმენტების მომზადების და სხვა ფორმალური პროცედურების შესახებ;
- ფაკულტეტი აფინანსებს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას სამეცნიერო ფორუმებში, რომელიც აისახება ბიუჯეტის კონკრეტულ კატეგორიაში;
- ფაკულტეტი წელიწადში ერთხელ გასცემს სახელფასო დანამატს WEB of Science-ის მიხედვით იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე;
- ფაკულტეტი სისტემატურად ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებასა და კვლევაში დანერგვის კუთხით, რაც სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად გულისხმობს ელექტრონული სწავლების გაძლიერებას Moodle-ის პლატფორმის გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები CV(დანართი 5);
- დისტანციური გასაუბრება თსუ-ს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან;
- ყოველწლიური თვითშეფასება და სამეცნიერო ანგარიშები (დანართი 13).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პერსონალის ტრენინგების რაოდენობის გაზრდა მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ეს ეხება ასევე ინტერნაციონალიზაციის კუთხით ტრენინგების გავლასაც;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით.

გეოლოგიის მაგისტრის მომზადება ხდება ძირითადად გეოლოგიის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზაზე, რომელიც მოიცავს: მინერალოგიის სასწავლო სამეცნიერო ლაბორატორიას (მუზეუმი), პალეონტოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიას (მუზეუმი), პეტროქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიას, პეტროლოგიურ-პოლარიზაციულ და მადნეულ მინერალთა კვლევის მინერაგრაფიული მიკროსკოპების ბაზას, მინერალების, ქანებისა და ნამარხი ორგანიზმების ნიმუშებს, მინერალთა სტრუქტურებსა და კრისტალთა მოდელებს, საველე-გეოლოგიური აღჭურვილობა (გეოლოგიური კომპასები, გეოლოგიური ჩაქუჩები, GPS, ტოპოგრაფიული და გეოლოგიური რუკები, საველე კარვები, საძილე ტომრები და სხვ.) სალექციო აუდიტორიები: 422, 423, 427, 476, 480, 482, 483 და სხვ. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია: ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიისა და ალ. თვალჭრელიძის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტები, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიული ბაზები და ტექნიკური საშუალებები;

ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაქტობრივი მდგომარეობა;
- დისტანციური გასაუბრება თსუ-ს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან;

•
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სასურველია, ლაბორატორიული ბაზის მეტად გაუმჯობესება, შესაძლებელია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლაბორატორიის ფარგლებში;
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
აღწერა და შეფასება**

საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სავალდებულო ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალის შეძენის ხარჯებს. შესაბამისი ფინანსური რესურსები გამოყოფილია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, რაც ეკონომიკურად მიღწევადია და განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი (დანართი 11);
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი (დანართი 11);

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსაკვირებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება</p> <p>ხარისხის და უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უნივერსიტეტში კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც შემუშავებული აქვს ხარისხისში და უზრუნველყოფის სისტემა. ეს სისტემა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:</p> <ol style="list-style-type: none"> საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხდება საგანგებოდ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით უფლებამოსილი ორგანოების მიერ მათ დამტკიცებამდე; სილაბუსების შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების/ ინდიკატორების გათვალისწინებით: წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე, მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, შეფასების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, კრედიტების სწორად გამოყენება, სავალდებულო/ძირითადი და დამატებითი ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალების სიახლე და ადეკვატურობა და სხვ.; სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასება საგანგებოდ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით უფლებამოსილი ორგანოების მიერ მათ დამტკიცებამდე; საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება (მათ დამტკიცებამდე და ამოქმედებამდე) ხდება შემდეგი კრიტერიუმების/ინდიკატორების გათვალისწინებით: წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის შესაბამისობა პროგრამის შინაარსთან, კრედიტების ადეკვატურად განაწილება, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, პროგრამის სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, პროგრამის შეფასების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, შეფასების სისტემის შესაბამისობა საკანონმდებლო და

- საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან, დასაქმების სფეროების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან და სხვ.;
3. დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, პოტენციური ამსაქმებლების, პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციების, უცხოელი სპეციალისტების) ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების შეფასების და განვითარების/მოდერნიზაციის პროცესში;
 4. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება საგანგებოდ შემუშავებული და დამტკიცებული წესისა და ინდიკატორების შესაბამისად; უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება ხდება კონკრეტული ინდიკატორების გამოყენებით;
 5. სტუდენტების და პერსონალის, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების და სხვ. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების ორგანიზება და მათი კმაყოფილების კვლევა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობით, სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდებით;
 6. კონსულტაციების გაწევა აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისთვის ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
 7. თვითშეფასების პროცესის კოორდინირება/თვითშეფასების ანგარიშის მომზადების კოორდინირება აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვ.;
 8. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური რეგულარულად ატარებს პროგრამების შიდა მონიტორინგს, რაც ხელს უწყობს პროგრამების განვითარება-დახვეწას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N04/03 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სილაბუსების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N02/03 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიურისაბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება N67/2018 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ
- https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/672018//;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2019 წლის 26 თებერვლის ბრძანება N01/03 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარების დამტკიცების შესახებ;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება თსუ-ში მოქმედი წესების შესაბამისად. უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლს. დამტკიცებულია თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა, ასევე, სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები. ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა; საგანმანათლებლო საქმიანობა; სტუდენტური ცხოვრება; ინსტიტუციური განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისად სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები/ინდიკატორები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, ფინანსური რესურსი. ფაკულტეტზე მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფაზე. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოწმდება და ფასდება როგორც აკადემიური პერსონალის შესაბამისობა, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხი. ჩამოყალიბებულია პროგრამის განვითარების კომიტეტი (რომლის ძირითადი ბირთვია კურსდამთავრებულები, ინდუსტრიის წარმომადგენლები და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი), რომლის რეკომენდაციებით მოხდება პროგრამის განახლება ან ცვლილება, აუცილებლობის შემთხვევაში. თსუ ადმინისტრაციის მართვის ორგანოები, ფაკულტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება და ოქმი (დანართი 13);
- დასაქმების ბაზრის კვლევა (დანართი 8);
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულები არიან სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. სასწავლო პროგრამა ასახავს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად ცვალებად და განვითარებად დოკუმენტს, რაც მოითხოვს მის პერიოდულ ცვალებადობას შესაბამისი დარგობრივი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დარგობრივი საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის შესაბამისი სილაბუსების გადახედვა და აუცილებლობის შემთხვევაში ცვლილებების დაგეგმვა/განხორციელება, რომელიც აისახება, როგორც შინაარსობრივ ცვლილებებში ასევე სასწავლო მასალის განახლებაში. ასევე ხდება სასწავლო წლის განმავლობაში დამსაქმებელთა შემოთავაზება/მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვება ანალიზი. ამ მასალის საფუძველზე ხორციელდება გარკვეული ტიპის ცვლილებები როგორც შინაარსობრივ ნაწილში, ასევე ადმინისტრაციულში (მაგ. იზრდება მისაღები კონტიგენტის რაოდენობა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამების განხორციელებაში დამსაქმებლების მეტი ჩართულობა და მათთან კონტაქტების გაუმჯობესება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

გეოლოგია, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნოდარ ფოფორაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:

ავთანდილ ოქროსცვარიძე



ნანა ფირცხელანი

